

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ნ.ვ. ბესიქს ეს ეი საქართველოს ფილიალი

2023 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	Error! Bookmark not defined.
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება	9
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	Error! Bookmark not defined.
მმართველობის ანგარიში	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

მპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

იურიდიული მისამართი:

საქართველო, თბილისი,

ისნის რაიონი,

ქეთევან წამებულის გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

Legal address:

Georgia, Tbilisi, Isani district,

Ketevan Tsamebuli avenue, № 54

T.: + 995 322 604 406

ნ.ვ. ბესიქს ეს ეი საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელობასა და სათავო ოფისს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ნ.ვ. ბესიქს ეს ეი საქართველოს ფილიალი (შემდგომში “ფილიალი”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ფილიალის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ფილიალისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ანგარიშების 1, 2.2 და 15.2 შენიშვნებზე, რომელიც აღწერს გაურკვევლობას ფილიალის სამომავლო ოპერაციებთან დაკავშირებით. ფილიალი შეიქმნა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ფოთის პორტში სამშენებლო პროექტის განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის პირველი ფაზა 2023 წელს დასრულდა, მეორე ფაზა ჯერ არ დაწყებულია და შესაბამისი კონტრაქტი ჯერ არ არის გაფორმებული. ანგარიშგების თარიღისთვის არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის დაიწყება მეორე ფაზა და ფილიალი გააგრძელებს თუ არა ფუნქციონირებას. ამ გაურკვევლობის გამო ანგარიშგება მომზადდა სალიკვიდაციო ღირებულების პრინციპის საფუძველზე. მენეჯმენტმა ამჟამად არ იცის, გაგრძელდება თუ არა პროექტი ან გააგრძელებს თუ არა ფილიალი ფუნქციონირებას საქართველოში.

ჩვენ ასევე ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-8 და 15.1 შენიშვნებზე, რომლებიც აღწერს ფილიალის მიერ 747,726 აშშ დოლარის ოდენობის რეზერვების აღიარებას. ეს ანარიცხი ითვალისწინებს მოსალოდნელ ხარჯებსა და ვალდებულებებს ოპერაციების შეწყვეტასთან დაკავშირებით, მათ შორის, იურიდიული მოსაკრებლები, ხელშეკრულების შეწყვეტის ხარჯები, აქტივების გასხვისება და სხვა დაკავშირებული ვალდებულებები. მენეჯმენტმა გამოიყენა მის ხელთ არსებული ინფორმაცია ამ შეფასებების გასაკეთებლად, თუმცა ეს შეფასებები გულისხმობს მნიშვნელოვან გაურკვევლობას და არსებითი კორექტირებების რისკს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხის გამო

მმართველობის ანგარიშგება

ფილიალის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ფილიალის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა, როდესაც უნდა განვიხილოთ არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს ჩვენს მიერ მიღებულ სხვა ინფორმაციასთან, ან თუ სხვაგვარად აღმოჩნდება არსებითად შეუსაბამო. დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება იმაზე, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ფილიალის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ფილიალის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ფილიალის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნელობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნელობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ფილიალის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მიუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ფილიალის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

ვახტანგ ცაბაძე

სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნტონ

თბილისი, საქართველო

30 ოქტომბერი 2024

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნელობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნელობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ფილიალის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ფილიალის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

ვახტანგ ცაბაძე


სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნტონ

თბილისი, საქართველო

30 ოქტომბერი 2024



ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

აშშ დოლარში	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	-	52,531
		-	52,531
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	123,073	6,241,785
საგადასახადო აქტივები		256,187	-
გადახდილი ავანსები		-	136,939
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	6	1,376,456	2,620,346
		1,755,716	8,999,070
სულ აქტივები		1,755,716	9,051,601
დაფინანსება და ვალდებულებები			
დაფინანსება და რეზერვები			
სათავო ოფისიდან მიღებული დაფინანსება	7	77,171	836,118
გაუნაწილებელი მოგება		227,884	228,968
		305,055	1,065,086
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	1,450,661	2,940,546
სახელმწიფო ვალდებულებები	9	-	4,446,026
მიღებული ავანსები	10	-	599,943
		1,450,661	7,986,515
სულ დაფინანსება და ვალდებულებები		1,755,716	9,051,601

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 ოქტომბერს:

ჰიუგ დე მოლი

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-25 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

აშშ დოლარში	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	-	52,531
		-	52,531
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	123,073	6,241,785
საგადასახადო აქტივები		256,187	-
გადახდილი ავანსები		-	136,939
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	6	1,376,456	2,620,346
		1,755,716	8,999,070
სულ აქტივები		1,755,716	9,051,601
დაფინანსება და ვალდებულებები			
დაფინანსება და რეზერვები			
სათავო ოფისიდან მიღებული დაფინანსება	7	77,171	836,118
გაუნაწილებელი მოგება		227,884	228,968
		305,055	1,065,086
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	1,450,661	2,940,546
სახელმწიკრულებო ვალდებულებები	9	-	4,446,026
მიღებული ავანსები	10	-	599,943
		1,450,661	7,986,515
სულ დაფინანსება და ვალდებულებები		1,755,716	9,051,601

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2024 წლის 30 ოქტომბერს:

ჰიუგ დე მოლი

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-25 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

აშშ დოლარში	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი	11	9,229,488	21,657,639
სამშენებლო სამუშაოების თვითღირებულება	12	(7,898,267)	(18,143,164)
საერთო მოგება		1,331,221	3,514,475
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(829,433)	(3,095,554)
სხვა ხარჯები		37,763	(149,342)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		539,551	269,579
ფინანსური შემოსავალი	6	115,667	61,963
საკურსო მოგება/(ზარალი)		(10,671)	(89,622)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგრამდე		644,547	241,920
მოგების გადასახადის ხარჯი		(95,708)	-
წლის წმინდა მოგება/(ხარჯი)		548,839	241,920
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		548,839	241,920

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-25 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

აშშ დოლარი	სათავო ოფისიდან მიღებული დაფინანსება	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	380,373	(12,952)	367,421
წმინდა ზარალი	-	241,920	241,920
წლის სრული ზარალი	-	241,920	241,920
სათავო ოფისიდან მიღებული დაფინანსება	455,745	-	455,745
ოპერაციები დამფუძნებლებთან	455,745	-	455,745
2022 წლის 31 დეკემბერი	836,118	228,968	1,065,086
წმინდა მოგება	-	548,839	548,839
წლის სრული შემოსავალი	-	548,839	548,839
სათავო ოფისიდან მიღებული დაფინანსება	(758,947)	-	(758,947)
გადახდილი დივიდენდი	-	(549,923)	(549,923)
ოპერაციები დამფუძნებლებთან	(758,947)	(549,923)	(1,308,870)
2023 წლის 31 დეკემბერი	77,171	227,884	305,055

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-25 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ინდივიდუალური ანგარიშგება

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

აშშ დოლარი	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	644,547	241,920
კორექტირება:		
ცვეთა და გაუფასურება	52,531	341,562
ფინანსური შემოსავალი	(115,667)	(61,963)
კურსთაშორისი სხვაობის მოგება	10,671	89,622
მოგება/(ზარალი) საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	592,082	611,141
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	5,862,525	(1,695,229)
გადახდილი ავანსების ცვლილება	136,939	(48,355)
ცვლილება სავაჭრო და სხვა გადასახდელებში	(5,946,582)	2,417,225
მიღებული ავანსების ცვლილება	(599,943)	(3,164,653)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	45,021	(1,879,871)
გადახდილი გადასახადი	(95,708)	-
მიღებული პროცენტი	115,667	61,963
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	64,980	(1,817,908)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენაში გადახდილი სახსრები	-	(222,264)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(222,264)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(549,923)	-
დაფინანსება სათავო ოფისიდან	(758,947)	25,324
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,308,870)	25,324
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/შემცირება	(1,243,890)	(2,014,848)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2,620,346	4,635,194
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,376,456	2,620,346

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (10-25) გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

ნ.ვ. ბესიქს ეს ეი საქართველოს ფილიალი (შემდგომში „ფილიალი“) არის სააქციო საზოგადოება ნ.ვ. ბესიქს ეს ეი, 0413.630.07-ის ფილიალი. ნ.ვ. ბესიქს ეს ეი ბელგიაში დაფუძნებული ბელგიურ-ფრანგული სამშენებლო კომპანია, რომელიც არის მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო კონტრაქტორი ინფრასტრუქტურული პროექტების განცხორციელების მიმართულებით. ბესიქსი სამუშაოებს აწარმოებს 1909 წლიდან, ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, ოკეანაში, აფრიკაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და აზიაში.

ფილიალი საქართველოში რეგისტრირებულია 2021 წლის 20 აგვისტოს, როგორც უცხოური საწარმოს ფილიალი, საიდენტიფიკაციო ნომრით 405478503. ფილიალის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქ. N12, სართული 7, საოფისე ფართი N38, ბლოკი "ბ".

ფილიალი შეიქმნა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ფოთის პორტში სამშენებლო პროექტის განხორციელების მიზნით. პროექტი რამდენიმე ფაზას მოიცავს, ფაზა 1A წარმატებით დასრულდა 2023 წელს. შესაბამისად, ფილიალი მოქმედებს როგორც დროებითი დაწესებულება. ამ დროისთვის არ არსებობს სანდო ინფორმაცია შემდგომი ფაზების დაწყების შესახებ. ფილიალი რჩება ჰოლდინგის რეჟიმში, მისი მომავალი ოპერირება საქართველოში დამოკიდებულია მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგზე.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წლის განმავლობაში ფილიალის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 12 თანამშრომელი (2022 – 26 თანამშრომელი).

საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით ფილიალი წარმოადგენს II კატეგორიის საწარმოს და ამავე რეგულაციების მიხედვით არ წარმოადგენს საზოგადოებრივ დაინტერესების პირს.

ბიზნეს გარემო

საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო აგრძელებს განვითარებას სამართლებრივ, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემებში მიმდინარე მოვლენებთან ერთად. ამ ცვლილებებზე დიდწილად არის დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და ზრდა. მთავრობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ერთგულება კარგი მმართველობისადმი, კონცენტრირებულია ანტიკორუფციულ ძალისხმევაზე, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე.

ფილიალი მოქმედებს როგორც დროებითი დაწესებულება და მისი ფუნქციონირება მჭიდროდ არის დაკავშირებული დაფინანსებასთან და სათაო ოფისის მიერ მიღებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებთან. მომავალი პროექტის ფაზების გაგრძელების გარშემო არსებული გაურკვევლობის გათვალისწინებით, ფილიალის მენეჯმენტი რეგულარულად აკონტროლებს მის მდგომარეობას, რათა უზრუნველყოს საკმარისი რესურსები ოპერაციებით საჭიროების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი ლიკვიდობის პოზიცია ადეკვატურია, ფილიალი დამოკიდებულია სათაო ოფისის მხარდაჭერაზე. მენეჯმენტი მზად არის გამოიყენოს შესაბამისი ლიკვიდობის მართვის ინსტრუმენტები და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს დაფინანსება სათაო ოფისიდან.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("IASB") მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("IFRS") შესაბამისად. ფილიალის, როგორც დროებითი დაწესებულების ხასიათისა და პროექტის შემდგომი ფაზების დაწყებასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამო, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა სალიკვიდაციო ღირებულების საფუძველზე, და არა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა სალიკვიდაციო ღირებულების საფუძველზე, რაც ასახავს ფილიალის დროებით ხასიათს და გაურკვევლობას პროექტის მომავალი ფაზების შესახებ. ამის საფუძველზე, აქტივები და ვალდებულებები ფასდება მათი სარეალიზაციო ღირებულებით, აქცენტი გაკეთებულია აქტივების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციაზე ან გასხვისებაზე.

მოგებისა და ზარალია და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯები წარმოდგენილია მათი ფუნქციების მიხედვით, რადგან მენეჯმენტი თვლის, რომ ეს მეთოდი უფრო სასარგებლო ინფორმაციას აწვდის დაინტერესებული მხარეებს.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("GEL"), თუმცა ოპერაციებისა და ზოგადად სტიქიკოლდერების ანალიზზე დაყრდნობით, რომელიც ძირითადად გავლენას ახდენს მომსახურების გაყიდვის ფასებზე და ასეთი სერვისების მიწოდების ხარჯებზე, როგორცაა წარმოდგენს ფილიალის ძირითადი საქმიანობა არის აშშ დოლარი (USD), შესაბამისად მენეჯმენტი თვლის, რომ ფილიალის ფუნქციონალური ვალუტა არის აშშ დოლარი, რომელშიც წარმოდგენილია ეს ფინანსური ანგარიშგება. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია აშშ დოლარში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა რამ არის მითითებული.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-15 მენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ფილიალის მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2023 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება ფილიალის ოპერაციებს. ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის.

ახალ სტანდარტებსა და ცვლილებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ და პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, ან ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- IFRS 17 „სადაზღვევო კონტრაქტები“
- ცვლილებები ფასს 17-ში სადაზღვევო ხელშეკრულებებში (შესწორებები ფასს 17-ში და ფასს 4-ში)
- გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად (ბასს 12-ში ცვლილებები)
- სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (შესწორებები ბასს 1-ში და IFRS-ის პრაქტიკის განცხადება 2)
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ში ცვლილებები)
- საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - (ბასს 12-ში ცვლილებები)

არსებული სტანდარტები ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და აღრე არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ

ამ ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღისთვის, გარკვეული ახალი სტანდარტები, ცვლილებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ აღრეულ ეტაპზე.

მენეჯმენტი ითვალისწინებს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება იქნება მიღებული კომპანიის საადრიცხო პოლიტიკაში პირველი პერიოდისთვის, რომელიც იწყება განცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მის შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე წინამდებარე სტანდარტებიდან და ცვლილებებიდან. ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის დაწყებიდან
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი (ბასს 1-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ბასს 1	გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტით (ბასს 1-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ბასს 1	ურთიერთგაცვლის ნაკლებობა (ბასს 21-ში ცვლილებები)	1 იანვარი 2024
ფასს 17	ფინანსური შეთანხმებები მომწოდებლებთან (შესწორებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში)	1 იანვარი 2024
ბასს 16	საიჯარო ვალდებულებები (ცვლილებები ფასს 16-ში).	1 იანვარი 2024

3 მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება ფილიალისთვის შესაბამის ფუნქციურ ვალუტაში ტრანზაქციის თარიღისთვის გაცვლითი კურსით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშებულია ფუნქციურ ვალუტაში ამ თარიღის გაცვლითი კურსით. მოგება ან ზარალი მონეტარული ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოადგენს სხვაობას ფუნქციონალურ ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებასა და ამორტიზებულ ღირებულებას უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილს შესაბამისი გაცვლითი კურსით საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარებულია შეძენის ღირებულებით, მათ შორის ნებისმიერი ხარჯი, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების ადგილზე მიტანას და მდგომარეობას, რომელიც აუცილებელია ფილიალის ხელმძღვანელობის მიერ გათვალისწინებული წესით ფუნქციონირებისთვის.

ძირითადი საშუალებები შემდგომში ფასდება ღირებულების მოდელის გამოყენებით, თვითღირებულებას გამოკლებული ცვეთა და გაუფასურება.

ცვეთის აღიარება ხდება წრფივი მეთოდით. ფილიალის დაარსების დროებითი ხასიათიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ პროექტი, რომლისთვისაც შეიქმნა ფილიალი, სავარაუდოდ დასრულდება 2023 წლის მაისში, ფილიალის მთელი ქონებისა და აღჭურვილობის სასარგებლო ვადა განისაზღვრა 2 წელი ან ნაკლები, იმისდა მიხედვით, თუ როდის იქნა შეძენილი აქტივი.

3.3 ძირითადი საშუალებების გაუფასურება

აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ამორტიზაციას, განიხილება გაუფასურებაზე, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი თანხა არის უმაღლესი თანხა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი განიხილება, როგორც გადაფასების შემცირება.

როდესაც გაუფასურების ზარალი შემდგომში აღდგება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა გაუფასურების გარეშე. გაუფასურებით ზარალის აღდგენა აღიარებულია შემოსავალად დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ოდენობით, ამ შემთხვევაში გაუფასურებით ზარალის ნებისმიერი აღდგენა განიხილება, როგორც გადაფასების ზრდა.

3.4 მარაგები

მარაგები არის აქტივები, რომლებიც ინახება მასალების ან მარაგების სახით, რომლებიც მოხმარდება მომსახურების გაწევას. ისეთი ნივთები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, მოწყობილობა და მომსახურე აღჭურვილობა, ასევე აღიარებულია მარაგად, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ ქონებისა და აღჭურვილობის განსაზღვრებას.

მარაგები წარმოდგენილია უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპის საფუძველზე და მოიცავს ხარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგების შეძენისა და მათ არსებულ მდგომარეობამდე მისაღებად.

თუმცა, ფილიალის შეზღუდული ოპერაციებისა და მომავალი პროექტის ფაზებთან დაკავშირებით გაურკვევლობის გამო, ყველა მარაგი სრულად გაუფასურდა და ანგარიშგების თარიღისთვის არის ნულოვანი საბალანსო ღირებულებით. ეს კორექტირება ასახავს მენეჯმენტის შეფასებას, რომ მარაგები აღარ ფლობენ რაიმე სარეალიზაციო ღირებულებას არსებულ ვითარებაში.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ფილიალი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში ფილიალს არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- ფილიალის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. ფილიალის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში **Error! Reference source not found.**-ში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- ფილიალი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით" (FVTPL), თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნეს გაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემიტირებადი აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული ფილიალის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად ფილიალი განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელმეკრულებო აქტივები

ფილიალი იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, ასევე სახელმეკრულებო აქტივების აღრიცხვისას და აღრიცხავს რეზერვს, როგორც სიცოცხლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ეს არის სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ზარალი, ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების ნებისმიერ მომენტში დეფოლტის პოტენციალის გათვალისწინებით. გაანგარიშებისას ფილიალი იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ინდიკატორებს და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად რეზერვის მატრიცის გამოყენებით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების შეფასება კოლექტიურ საფუძველზე, რადგან ისინი ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს, ისინი დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფილიალი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და სასესხო ვალდებულებებს. შეჯამება ფილიალის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა **Error! Reference source not found.**-ში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ასახულია მათი ანგარიშსწორების ღირებულებით, რაც ასახავს იმ თანხებს, რომლებიც მოსალოდნელია გადაიხადოს ამ ვალდებულებების სალიკვიდაციო ღირებულების საფუძველზე. ამ საფუძველზე, გადასახდელები ფასდება მათი სარეალიზაციო ღირებულებით და არა ამორტიზებული ღირებულებით, ვალდებულებების ლიკვიდაციაზე ან დაუყოვნებლივ დაფარვაზე ფოკუსირების გათვალისწინებით.

3.6 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს.

3.7 სათავო ოფისიდან მიღებული დაფინანსება

ფილიალს არ გააჩნია საწესდებო კაპიტალი. იგი ფინანსდება სათავო ოფისის შენატანებით, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სათავო ოფისიდან მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

3.8 ანარიცხი

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ფილიალს აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროის ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და, საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებისთვის სპეციფიკურ რისკებს.

3.9 იჯარა

ხელშეკრულების დადებისას ფილიალი აფასებს არის თუ არა ხელშეკრულება ფინანსური იჯარა. კონტრაქტი არის ან შეიცავს ფინანსური იჯარის კომპონენტს, თუ ხელშეკრულება იძლევა უფლებას გააკონტროლოს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენება გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად, არის თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, ფილიალი იყენებს ფინანსური იჯარის განმარტებას ფასს 16-ის მოთხოვნების მიხედვით. ეს პოლიტიკა გამოიყენება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დადებულ კონტრაქტებზე. ფილიალმა აირჩია არ აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების აქტივებისთვის

და მოკლევადიანი იჯარებისათვის. ფილიალი აღიარებს ამ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს, პერიოდის ხარჯად მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

3.10 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები მოგების გადასახადს იხდიან მოგების განაწილებისას (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. აღნიშნული მოდელის გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის განსხვავების საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით კომპანიას არ წარმოექმნება.

3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე საადრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდლების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

3.12 შემოსავალი

ფილიალის ძირითადი შემოსავალი არის შემოსავალი ფოთის ზღვის პორტის გაფართოების პროექტის სამშენებლო სამუშაოებიდან. ფილიალის დეტალური პოლიტიკა შემოსავლების აღიარების შესახებ აღწერილია ქვემოთ.

ამონაგები აღიარებულია იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღებასაც ფილიალი მოელის და რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, მიუხედავად იმისა, როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების აღიარების მიზნებისთვის პირველი ნაბიჯი არის კონტრაქტების და მათში შემავალი შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირება. ფილიალის მიერ მომხმარებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ვალდებულებები სრულდება და შემოსავალი აღიარდება დროის განმავლობაში.

ფილიალი ვალდებულების შესრულების ხარისხის შესაფასებლად იყენებს გამოყენებული რესურსების მეთოდს. გამოყენებული რესურსების მეთოდი ამონაგების აღიარებას ითვალისწინებს შესასრულებელი ვალდებულების შესასრულებლად საწარმოს მიერ განხორციელებული სამუშაოს, ან გამოყენებული რესურსების თანაფარდობის საფუძველზე მოცემული შესასრულებელი ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მთლიან მოსალოდნელ რესურსებთან მიმართებით. ცვლილება საკონტრაქტო სამუშაოებში, პრეტენზიებსა და წამახალისებელ გადახდებში შედის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია თანხის საიმედოდ შეფასება და დიდი ალბათობით, რომ არ მოხდება აღიარებული კუმულატიური შემოსავლის

მნიშვნელოვანი შეცვლა. შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებებში ცვლილებები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ცვლილება განხორციელდა.

როდესაც სავარაუდოა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მთლიანი გარდაუვალი ხარჯები აღემატება ხელშეკრულების მთლიან შემოსავალს და სხვა ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მოსალოდნელია ხელშეკრულებით, მოსალოდნელი ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ, პირველ რიგში, ხელშეკრულებასთან უშუალოდ დაკავშირებული აქტივების გაუფასურებით და, თუ ასეთი გაუფასურება არ არის საკმარისი, რეზერვის აღიარებით.

პროექტი ხასიათდება ინდივიდუალური ხელშეკრულების ვადის საფუძველზე შეთანხმებული ფიქსირებული ფასით.

სამშენებლო კონტრაქტის მიხედვით, ფილიალი პასუხისმგებელია პროექტის საერთო მენეჯმენტზე და განსაზღვრავს სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის საპროექტო სამუშაოებს, მასალების შესყიდვას, საიტის მომზადებას და საძირკვლის ჩამოსხმას, ქვეკონტრაქტორების დაქირავებას, მექანიკურ და ელექტრო სამუშაოებს, მოწყობილობების დამონტაჟებას. და ა.შ. ფილიალმა დაადგინა, რომ ამ კონტრაქტის ფარგლებში მიწოდებული საქონელი და მომსახურება არ არის გაცალკევებული და, როგორც წესი, განიხილება, როგორც შესრულების ერთი ვალდებულება. ფილიალი მომსახურებას ეწევა დროთა განმავლობაში და, შესაბამისად, შესრულების ვალდებულებას აკმაყოფილებს და შემოსავალსაღიარებს დროთა განმავლობაში, იმ დამკვეთის საფუძველზე, რომ ფილიალის საქმიანობა არ ქმნის აქტივის ფილიალის ალტერნატიული გამოყენებისთვის და ფილიალს აქვს უფლება მიიღოს გადახდები განხორციელებული სამუშაოებისთვის.

ხელშეკრულების ხარჯები მოიცავს შრომის, მასალების, ქვეკონტრაქტირებული სამუშაოების ხარჯებს, უშუალოდ პროექტებისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებების ცვეთას და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

ქვეკონტრაქტორებისთვის წინასწარ გადახდები სამუშაოსთვის, რომელიც ჯერ არ შესრულებულა საანგარიშგებო თარიღისთვის, გამორიცხულია მშენებლობის ხარჯებიდან. სამშენებლო ობიექტზე მიტანილი, მაგრამ ჯერ არ დაინსტალირებული მასალების ღირებულება წარმოდგენილია ინვენტარში. კონტრაქტორისგან მიღებული წინასწარი გადახდები, რომლებისთვისაც არ არის გაწეული მომსახურება/საქონელი, წარმოდგენილია როგორც "სამშენებლო ხელშეკრულების ვალდებულებები".

კონტრაქტის შემოსავლის აღიარებისთვის გამოყენებული მეთოდისგან განსხვავებით, კლიენტზე დარიცხული თანხები ეფუძნება ხელშეკრულებაში დადგენილ სხვადასხვა ეტაპების მიღწევას და კლიენტის მიერ ამის აღიარებას, რომელიც იღებს სახელშეკრულებო დოკუმენტის ფორმას სახელწოდებით "შუალედური გადახდის სერტიფიკატი (IPC)". ამრიგად, მოცემული წლის შემოსავალად აღიარებული თანხები არ არის აუცილებელი რომ ემთხვეოდეს კლიენტზე დარიცხულ ან დამოწმებულ თანხებს. იმ კონტრაქტების შემთხვევაში, რომლებშიც მომხმარებელთან კონტრაქტით აღიარებული კუმულაციური შემოსავალი აღემატება დარიცხულ თანხას, სხვაობა აღიარებულია (როგორც სახელშეკრულებო აქტივი) აქტივის ანგარიშზე სახელწოდებით "სამშენებლო კონტრაქტების აქტივები", ხოლო კონტრაქტებში, რომელშიც გადაცემული საქონელი ან მომსახურება ნაკლებია მომხმარებლის მიერ დარიცხულ თანხაზე, სხვაობა აღიარებულია (როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება) ვალდებულების ანგარიშზე სახელწოდებით "სამშენებლო ხელშეკრულებების ვალდებულებები".

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს ფილიალის უფლებას ანაზღაურების ოდენობაზე, რომელიც არის უპირობო (ანუ, მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო ანაზღაურების გადახდამდე). იხილეთ ფინანსური აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკა განყოფილებაში ფინანსური ინსტრუმენტები.

4 ძირითადი საშუალებები

აშშ დოლარი	სამშენებლო აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<i>თვითღირებულება</i>				
2021 წლის 31 დეკემბერი	124,415	651	50,009	175,075
შემოსვლა	208,528	10,490	-	219,018
2022 წლის 31 დეკემბერი	332,943	11,141	50,009	394,093
2023 წლის 31 დეკემბერი	332,943	11,141	50,009	394,093
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>				
2021 წლის 31 დეკემბერი	1,950	41	1,255	3,246
წლის ცვეთა	42,219	2,015	5,020	49,254
გაუფასურება	236,512	8,816	43,734	289,062
2022 წლის 31 დეკემბერი	280,681	10,872	50,009	341,562
წლის ცვეთა	41,468	269	-	41,737
გაუფასურება	10,794	-	-	10,794
2023 წლის 31 დეკემბერი	332,943	11,141	50,009	394,093
<i>საბალანსო ღირებულება</i>				
2022 წლის 31 დეკემბერი	52,262	269	-	52,531
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-

ძირითადი საშუალებები გამოიყენება მხოლოდ ფოთის პროექტისთვის. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ზოგადად და ადმინისტრაციული ხარჯები იხილეთ შენიშვნა 13, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოების დასრულებასთან 2023 წელს.

ფილიალის შეზღუდული ფუნქციონირებისა და მომავალი პროექტის ფაზების გაგრძელების გაურკვევლობის გამო, ყველა ძირითადი საშუალება სრულად გაუფასურდა. შედეგად, ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება ნულამდე შემცირდა. ეს ასახავს მენეჯმენტის შეფასებას, რომ აქტივებს აღარ აქვთ აღდგენითი ღირებულება, არსებული საოპერაციო შეზღუდვებისა და მათი მუდმივი გამოყენების ან გაყიდვიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის ნაკლებობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ფილიალის მუშაობის სპეციფიკისა და ხასიათის გამო, ფილიალი არ გამოიყენებს სამშენებლო აღჭურვილობას და მანქანებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კლიენტთან ხელშეკრულება გაფორმებულია მეორე ფაზის სამუშაოებზე (მეორე ფაზის სამუშაოებისთვის საჭირო იქნება ახალი აღჭურვილობა) (იხ. შენიშვნა 15.2) და იგივე ეხება საოფისე აღჭურვილობას და ავეჯს.

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	67,064	3,347,411
მოთხოვნების საგარანტიო დაკავებები	56,009	2,894,374
	123,073	6,241,785

სავაჭრო დებიტორული დავალიანების წმინდა საბალანსო ღირებულება ითვლება რეალური ღირებულების გონივრულ მიახლოებად. გარანტიის დებიტორული დავალიანება სრულად ინახება სს ფოთის საზღვაო პორტის კორპორაციისგან (APM Terminals BV) დრამაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტისთვის. იხილეთ შენიშვნა 17 (ა) იმ ვალუტების შესახებ, რომლებშიც დენომინირებულია დებიტორული დავალიანება.

6 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

დოლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	-	5,475
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,376,456	2,614,871
	<u>1,376,456</u>	<u>2,620,346</u>

უცხოურ ვალუტაში დომინირებული ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შესახებ იხილეთ შენიშვნა 17 (ა).

7 დაფინანსება სათავო ოფისიდან

